ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3789286

ნომერი: AR1563805

თარიღი : 11.12.2017

გაცემის თარიღი : 24.01.2018

გაცნობის თარიღი : 26.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბნის , მიკრო/რაიონი IV , - ში, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბნის , მიკრო/რაიონი IV , - ში, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვ. 024/005) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ წულაია პ/ნ 37001018394
- თბილისი, შარტავას 59

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივნისის №1304015 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 დეკემბერს №AR1563805 განცხადებით მომართა შპს „არქი დეველოპმენტი“-ს დირექტორმა თენგიზ წულაიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივნისის №1304015 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ –

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივნისის №1304015 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, IV მიკრო/რაიონში, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვ. 024/005) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.07.024.005; ფართობი: 3166 კვ.მ.) შერეული ფუნქციის შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი–კომერციული) აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2919674 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.06.2014 წ. №1304015 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882016689205). მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითა 3564 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა №01.17.07.024.050.
დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა შენიშვნა: „• დაცული იქნას საკადასტრო გეგმაზე დატანილი –სერვიტუტი, ამასთან დაცული იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება; • უნებართვოდ ან/და სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შემთხვევაში მოხდეს მისი დემონტაჟი და ამის შესახებ ეცნობოს ზედამხედველობის სამსახურს, ან საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის II პუნქტი თანახმად, დამრღვევის მიერ პროექტის შეთანხმების სტადიაზე, წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და ჯარიმის ქვითარი;“.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 3 ნოემბრის #1-2034 ბრძანებით, ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ვაზიუბნის დასახლება IV მიკრორაიონში, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (სალადასტრო კოდი: №01.17.07.024.050) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად (ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის მომატების საკითხი განხილულ იქნა საპროექტო მიწის ნაკვეთზე ორი მოცულობის განთავსების ფარგლებში) და განისაზღვრა კ2=5,0.
სამსახურის 2017 წლის 24 იანვრის №3059284 ბრძანებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. #01.17.07.024.050) შეთანხმდა შერეული ფუნქციის შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი–კომერციული) არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2017 წლის 6 თებერვლის №3076745 ბრძანებით კი შერეული ფუნქციის შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი–კომერციული) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 07 თებერვლიდან 2019 წლის 07 თებერვლის ჩათვლით.
დღეის მდგომარეობით განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივნისის №1304015 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად შერეული ფუნქციის შენობა–ნაგებობის (საცხოვრებელი–კომერციული) ნაცვლად დაფიქსირდეს ორი მრავალფუნქციური შენობა, რაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივნისის №1304015 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ორი მრავალფუნქციური შენობა;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2919674 ბრძანებასთან და ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივნისის №1304015 გადაწყვეტილებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7,

მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.